ISSN 1512-1801

The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

ინტერკულტურული აღზრდის თავისებურებები მცირე ერების შემთხვევაში

თენგიზ ლომაძე
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სერტიფიცირებული პედაგოგი
თბილისი, 67–ე საჯარო სკოლა

ანოტაცია

*ჩვენი მიზანია დავეყრდნოთ ლიბერალური მულტიკულტურალიზმის ცნობილ დოქტრინას, რომლის არსი შემდეგშია: სახელმწიფოს სტაბილურობას გააჩნია მრავალი მდგენელი, რომლებშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივი ინტეგრაციისა და ნაციონალური ერთობის ფაქტორებს. ამ უკანასკნელთა უზრუნველყოფის ერთ–ერთი საშუალებაა წარმატებით შერჩეს ეთნონაციონალური პოლიტიკის კონცეფცია, რომლის მიზანია შეათანხმოს ნაციონალური კონსოლიდაციის ამოცანები სულ უფრო მზარდ ეთნოკულტურულ მრავალფეროვნებასთან. ასეთი კონცეფციის როლში სავსებით შეიძლება გამოდგეს ე. წ. **მ**აინტეგრებელი **ლ**იბერალური **მ**ულტი–კულტურალიზმის **კ**ონცეფცია– **მლმკ**, რომელიც სათანადოდ იქნება ადაპტირებული ჩვენნაირი სახელმწიფოების პირობებში. ზოგადად მულტიკულტურალიზმი არის ეთნონაციონალური, საგანმანათლებლო, კულტურული პოლიტიკის პრინციპი, რომელიც ცნობს და ხელს უწყობს მოქალაქეთა უფლებას განავითარონ და დაიცვან თავისი კულტურული თავისებურებები კანონის ფარგლებში. ჩვენი სახელმწიფო იზიარებს ამ პრინციპს. ფართო გაგებით მულტიკულტურალიზმი გამოიყენება პოლიტიკის აღსანიშნავად არა მხოლოდ ეთნიკური, არამედ ენობრივი, რელიგიური, სექსუალური და სხვა იდენტობების მიმართაც. ჩვენ შემოვიფარგლებით მისი ეთნოკულტურული კომპონენტით. მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა არის გამოწვევა, რომლის დაძლევა უჭირთ არა მარტო ახალგაზრდა სახელმწიფოებს, არამედ განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებსაც. მლმკ პოლიტიკის ადრესატია ყველა ეთნოკულტურული ჯგუფი, მათ შორის დომინანტური ეთნოსიც, ეს პოლიტიკა ხელს უწყობს ეთნოკულტურული სამართლიანობის დაცვას კულტურული მრავალფეროვნე–ბის პირობებში.*

***საკვანძო სიტყვები**: ინტერკულტურული განათლება, დომინანტური ეთნოსი, ლიბერალური მულტიკულტურალიზმი, ეთნიკური უმცირესობა.*

მცირერიცხოვანი დომინანტური ეთნოსის შემთხვევაში ინტერკულტურული აღზრდის ცნობილი პრინციპების (**2**) რეალიზება ხდება განსხვავებულად დიდ ქვეყნებთან შედარებით. ამიტომ ჩვენ გთავაზობთ ახალ მიდგომას ინტერკულტურული განათლებისადმი, კერძოდ: ბავშვები უნდა აღვზარდოთ იმ ცნობიერებით, რომ დომინანტი ერი, უძველესი კულტურის მატარებელი, საუკუნეების განმავლობაში თავის მიწაზე განიცდიდა როგორც რელიგიურ, ასევე ეთნიკურ –კულტურულ დევნას და, მიუხედავად ამისა, შეინარჩუნა როგორც კულტურული, ასევე რელიგიური და

ISSN 1512-1801

ეთნიკური თვითმყოფადობა და ამასთანავე არასოდეს მის მიწაზე არ ყოფილა სხვა ხალხის მიმართ რელიგიური და ეთნიკური შეუწყნარებლობა. ჩვენ უკეთ უნდა მივიტანოთ ამ გარემოების ცოდნა ეთნიკური უმცირესობების ცნობიერებამდე, გავაფართოვოთ მათთან ადამიანური ურთიერთობის რესურსის ფარგლები, რათა კონკრეტული რელიგიური თუ სხვა პრობლემების წამოჭრისას მათ არ დასჭირდეთ ჩვენთან ფორმალური კანონის ენით საუბარი, არამედ შესაძლებელი იყოს ადამიანური ურთიერთობების ფარგლებში საკითხების მოგვარება. სწორედ ასეთი სიტუაციებია უფრო მტკივნეული მცირე დომინანტური ერებისთვის დიდ ერებთან შედარებით. ამისათვის, ბენეტის მოდელის (3) თანახმად, უნდა განვუვითაროთ მოზარდს კულტურათაშორისი მგრძნობიარობა, ემპატია, ბავშვმა უნდა დაინახოს კულტურული განსხვავება, აგრეთვე ზემოთაღნიშნული გარემოებებიც, დაინახოს და აღიქვას ადამიანური გრძნობებით, ამასთან ეს უნდა გაკეთდეს ზედმიწევნით ფაქიზად. განხილული მიდგომა ცალსახად შეესაბამება ბენეტის უცხო კულტურის გააზრების სტადიალური მოდელის (3) ეთნორელატივისტურ ეტაპს, რომლის კომპონენტებია აღიარება (პატივისცემა ფასეულობების სისტემაში არსებული განსხვავებების მიმართ), ადაპტაცია (ემპათია, პლურალიზმი) და ინტეგრაცია.

მასწავლებლის როლი ინტერკულტურულ განათლებაში. რეკომენდაციები სასწავლო პროცესთან მიმართებაში

ინტერკულტურული კომპეტენტურობა (4) არის ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელო-ვანი კომპეტენტურობა, რომელიც იძლევა გადარჩენის გარანტიას დღევანდელი სამყაროს სულ უფრო მზარდი მრავალფეროვნების პოირობებში. ამდენად ჩნდება აუცილებლობა, რომ მასწავლებელი იყოს ექსპერტი ეთნიკურ საკითხებში. ამ მიმართულებით ბევრი მუშაობაა საჭირო სკოლებში. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთაკულტუ–რაციას, ინტერკულტურალიზმს, ანუ ურთიერთადაპტაციას, ტოლერანტობას, კონფლიქტების გადაწყვეტას. პედაგოგს მართებს დიდი სიფაქიზე და მოთმინება, ენთუზიაზმი და ემპათია სხვა კულტურის ბავშვებთან ურთიერთობისას.

მოვიყვანოთ რამდენიმე რეკომენდაცია სასწავლო პროცესთან მიმართებაში:

ეთნიკურ უმცირესობასთან ურთიერთობა უნდა იყოს საგაკვეთილო პროცესის ერთი პატარა კომპონენტი, მკაფიოდ გააზრებული.

უხერხული თემა, რომელიც პროგრესს არ ემსახურება, საგაკვეთილო პროცესში მოულოდნელად არ უნდა გაჩნდეს. ამიტომ წინასწარ ვთანხმდებით, რომ როდესაც სხვა ეროვნების კულტურას ვეხებით, მხოლოდ საუკეთესო ნიმუშებს წარმოვაჩენთ, რომლებიც ემსახურება პროგრესს.

სხვა ეროვნების კულტურის წარმოჩინება უნდა ხდებოდეს არამარტო წარსული, არამედ თანამედროვე მიღწევების კუთხითაც.

კარგია ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება – მუსიკის, ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების.

განათლების სამინისტროს ან საგანმანათლებლო რესურსცენტრის ვებ–გვერდზე უნდა შეიქმნას სხვადასხვა კულტურის პატარა მონაცემთა ბაზა, სადაც შევა სხვადასხვა

ISSN 1512-1801

ეთნოსის და რელიგიის ბავშვთა ნამუშევრების თემატური ვირტუალური გამოფენა, რომელსაც ექნება გაცნობითი დანიშნულება.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოსწავლეთა გამჭოლ პრიორიტეტულ კომპეტენციებში უნდა დაემატოს ინტერკულტურული კომპეტენციაც, როგორც ერთ–ერთი ყველაზე მნიშნელოვანი.

პედაგოგებისთვის უნდა ტარდებოდეს ტრეინინგები და უნდა ეძლეოდეთ ძალიან მკაფიო რეკომენდაციები კრიტიკულ აკადემიურ და სოციალურ სიტუაციებთან მიმართებაში.

დაბოლოს, სკოლაში მიწოდებული საწავლო მასალა და სახელმძღვანელოები უნდა ემსახურებოდეს ინტერკულტურული კომპეტენტურობის ამაღლებას, რისთვისაც მეტი მოცულობით უნდა იყოს წარმოდგენილი ის მასალა, რომელიც ხელს უწყობს კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის შეძენასა და გაფართოებას, კულტურულად მრავალფეროვან გარემოში მშვიდობიანი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების (მაგ.: ჯანსაღი კომუნიკაციის უნარი, მრავალფეროვან გარემოში მშვიდობიანი თანაარსებობა, კონფლიქტების თავიდან აცილება, და ა.შ.) შეძენასა და განვითარებას, კულტურულად მრავალფეროვანი გარემოსადმი ტოლერანტული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

შემუშავდა ინტერკულტურული აღზრდის ახალი კონცეპცია მცირერიცხოვანი დომინანტური ეთნოსის შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის ისტორიული ფაქტორების სპეციფიკის გათვალისწინებით. დაისახა ამ კონცეფციის რეალიზების გზები, გაკეთდა აქცენტი ინტერკულტურული აღზრდის როლის ამაღლებაზე. ახალი კონცეფცია გვთავაზობს ადამიანური ურთიერთობის რესურსების მაქსიმალურ გამოყენაბას კულტურათაშორის ურთიერთობებში, ეთნოკულტურული სამართლიანობის პრინციპების დაცვით. ინტერკულტურული აღზრდის ამ კონცეფციის რეალიზება ხელს შეუწყობს როგორც უმცირესობისთვის, ისე უმრავლესობისთვის მორალური ზიანის მიყენების თავიდან აცილებას, შედეგად კი პოლიტიკური არასტაბილურობის თავიდან აცილებას,. ნაშრომში ნაჩვენებია ახალი კონცეფციის შესაბამისობა უცხო კულტურის გააზრების ჯ. ბენეტის მოდელთან. განხილულია მასწავლებლის, როგორც ეთნიკური საკითხების ექსპერტის როლი, აგრეთვე ინტერკულტურული კომპეტენტურობის ამაღლების აუცილებლობა და ამის განხორციელების გზები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Schlesinger, Artur M., Jr.The Disuniting of America. Reflections on a Multicultural Society. – New York; London.
2. Livermore D., Intercultural competency, Sonlife Int. Journal, Illinois, 1998.
3. Bennet M.A., Developmental approach to training intercultural sesitivity, Int. J. of intercultural relations, 1986.
4. Ford D., G. Tarek, Multicultural gifted education, Roepew review, 1996.